ბრალდების მხარე განაგრძობს მტკიცებულებების შეგროვებას, განსაკუთრებით იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ შეხვედრის დროს.

იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც ამ დროისთვის არის ხელმისაწვდომი და რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოგვეწოდა ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი წინასწარი დასკვნა: ჩვენ გვჯერა, რომ არსებული მასალები არის სამართლებრივად და ფაქტობრივად საკმარისი იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ერეკლე კოდუასა და გია სირაძის მიმართ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა სხვადასხვა დანაშაულებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ვალერი გელაშვილის მიმართ 2005 წლის 14 ივლისს განხორციელებულ ფიზიკურ შეურაცხყოფასთან. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ უნდა განაგრძოთ გამოძიება და მიმართოთ სასამართლოს, სადაც ყველა დარჩენილი საკითხი იქნება განხილული შეჯიბრებით პროცესში.

ჩვენ აღვნიშნავთ, რომ ეს დასკვნა არის წინასწარი და შეიძლება დაექვემდებაროს სამომავლო გადასინჯვას, თუ გამოძიება გაგრძელდება და ჩვენს ჯგუფს წარედგინება დამატებითი მტკიცებულებები.

დასასრულს, ჩვენ ვსარგებლობთ შემთხვევით, რათა კმაყოფილება გამოვხატოთ თქვენი, პროკურორებისა და გამომძიებლების ამ საქმეზე მუშაობასთან დაკავშირებით. შეხვედრების დროს ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათმა პატიოსნებამ და გულწრფელობამ. გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ გამოძიება ჩატარდა კეთილსინდისიერად და პროფესიონალურ დონეზე.

კიდევ ერთხელ გმადლობთ თანამშრომლობისთვის და ვიმედოვნებთ, რომ მომავალში კვლავაც განვაგრძობთ თქვენთან მუშაობას.

პატივისცემით,

(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)
პოლ კოფეი	მოშე ლადორი	სერ ჟოფრეი ნაისი

თარგმანი სწორია.
მთარგმნელი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
OFFICE OF THE CHIEF PROSECUTOR OF GEORGIA
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA